პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 242 (10636) | სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვება

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს ორი მილიარდ ოთხი მილიონი ფუთი პური — 319 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე სახელმწიფო გეგმით იყო გათვალისწინებული.

მიესალმნენ რა რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ყველა მშრომელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „ამ სერიოზულ წარმატებათა მნიშვნელობა შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ 1953 წელს მთლიანად საბჭოთა კავშირში დამზადებული იყო მთელი წლის განმავლობაში 2.010 მილიონი ფუთი პური“. ეს წარმატებები შედეგია კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა თავდადებული შრომისა პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

12 ოქტომბერს ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელოვანი გამარჯვების შესახებ. ყაზახეთის სს რესპუბლიკამ, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ბელელი გახდა, სამშობლოს მისცა 1 მილიარდ 340 ათასი ფუთი პური, 402 მილიონი ფუთით გადააჭარბა სახელმწიფო გეგმას. ეს იმაზე მეტია, ვიდრე რესპუბლიკამ ჩააბარა პური წინა 11 წლის განმავლობაში ერთად, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამდე!

რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა შესანიშნავი წარმატებანი ახარებენ მთელ საბჭოთა ხალხს. ეს წარმატებანი თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმისათვის, რომ უსწრაფესად გადაჭრან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — მარცვლის ყოველწლიური მოსავალი აიყვანონ 11 მილიარდ ფუთამდე.

სამ მილიარდ ფუთზე მეტი პური მისცეს სამშობლოს წელს რუსეთის სფსრ და ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა! ეს სამი მილიარდი ფუთი მარცვალი დიდი წვლილია ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის საქმეში. ეს სამი მილიარდი ფუთი მარცვალი თვალნათლივ მოწმობს, რომ წარმატებით და თანმიმდევრულად ხორციელდება სოფლის მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა მისი ისეთი გადამწყვეტი დარგის, როგორიც არის მარცვლის წარმოება, სწრაფი აღმავლობის პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა.

რეზოლუციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის დარგში, მიიღო ქმედითი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ორგანიზაციისათვის. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს „შეუნელებელი ენერგიით განაგრძოს მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, დარაზმოს პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი იმისათვის სანერგლელად, რომ შეიქმნას მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე“.

ახლა ყველა ხედავს, თუ რა ჭეშმარიტად დიადი ცვლილებები მოხდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში უკანასკნელი სამი წლის განძილზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც დასახა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანა, როგორც უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი საკავშირო-სახალხო ამოცანა.

წყვეტდა რა ამ ამოცანას, პარტიამ აამოქმედა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ძალიერება, მშრომელთა მილიონიანი მასების შემოქმედებითი ძალები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია ათობით მილიარდი მანეთი სახელმწიფო სახსრები. მტს-ებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს უამრავი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მარტო ყაზახეთში ამ წლების მანძილზე გაიგზავნა 166 ათასი ტრაქტორი (თხუთმეტძალიანზე გადაყვანით), ათეულ ათასობით კომბაინი, ავტომანქანა და ბევრი სხვა ტექნიკა. მიღებულია სერიოზული ღონისძიებანი იმისათვის, რომ გადიდდეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით. კომუნისტური პარტიის მოწოდებით სოფელში მუდმივ სამუშაოდ წავიდა ათეულ ათასობით მოწინავე მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი. სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა დაგეგმვის გარდაქმნამ, რამაც გააძლიერა კოლმეურნეთა მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა გამჭრიახობა და სიბრძნე ჩვენი პარტიის პოლიტიკისა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში. მოკლე ხნის მანძილზე ათვისებულია 35,5 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები — ფართობი, რომელიც უზარმაზარია ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მასშტაბებითაც კი. ამჟამად სათესი ფართობი სსრ კავშირში 194 მილიონ ჰექტარს აღემატება.

უმთავრესად სწორედ ამან მოგვცა საშუალება ესოდენ მოკლე ვადაში მკვეთრად გაგვედიდებინა მარცვლის წარმოება. რუსეთის სფსრ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. რომლებიც მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე, წელს სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 1 მილიარდ 223 მილიონი ფუთი მარცვალი, 1953 წელს კი, ესეიგი ყამირის ათვისებამდე, მათ სახელმწიფოს ჩააბარეს მხოლოდ 497 მილიონი ფუთი. ყაზახეთის სს რესპუბლიკაში მარტო საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 520 მილიონი ფუთი პური, მაშინ როცა ყამირის ათვისებამდე რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები წელიწადში აბარებდნენ 25 მილიონ ფუთზე ცოტა მეტს. ახალი მიწების წარმატებით ათვისების მეოხებით ყაზახეთმა მარცვლეული კულტურების სათესი ფართობები 1953 წლის 7 მილიონი ჰექტარიდან 1956 წელს გაადიდა 23 მილიონ ჰექტარამდე და უკვე ახლა მიაღწია პურის ისეთ საერთო შოსავალს, რომელიც დაწესებულია მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის.

ყამირის ათვისება ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო საქმე გახდა. ასეულ ათასობით პატრიოტმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, ცხადყო რა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, თავისი პირადი შრომით წვლილი შეიტანა ყამირის ათვისების ისტორიულ საქმეში.

მილიონობით უბრალო საბჭოთა ადამიანების ფიქრი ყამირის ამოთვისებელ პატრიოტთა გმირობაზე, მშობლიური სივრცეების სიმდიდრეზე, რომელსაც პარტია ხალხის კეთილდღეობის სამსახურში აყენებს, კარგად გამოხატა ყაზახეთის სახალხო აკინმა ომარ შიბინმა. თავის „სიმღერაში ყამირზე“ იგი ამბობს:

„Давно в волосах моих поздняя осень,—
Давно они снега белей,
Но я океана такого колосьев
Не выдел ещё на земле.
. . . . . .
Кто сделал ковыльную степь молодую,
Признанье акына—тому,
Пред теми склоняюсь седой головою,
Тем руки рабочие жму!“.

მარცვლის წარმოების განვითარებაში მიღწეული წარმატება მტკიცე საფუძველი გახდა საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობისათვის.

ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თაოსნობით ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა შეჯიბრება იმისათვის, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — გავორკეცოთ რძისა და ხორცის წარმოება — შესრულდეს არა ხუთ წელიწადში, არამედ ორ, სულ ბევრი სამ წელიწადში. შეჯიბრების ინიციატორებმა, ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ჯერ კიდევ ივლისში შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა, ხოლო შემდეგ ვადამდე შეასრულეს ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმაც. დიდ წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში უკრაინის სს რესპუბლიკამ უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ოთხი თვით ადრე შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 3 მილიონ 234 ათასი ტონა — თითქმის 1 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. უკრაინის ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და ზოგიერთმა რაიონმა უკვე მიმდინარე წელს მიაღწია რძის წარმოების დონეს, რომელიც დაწესებულია 1960 წლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წლის წინასწარი შედეგები ყველა საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ მიმდინარე წელს ჩვენ წარმატებით აღმოვფხვრით სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას, რაც პირდაპირ და უშუალო გავლენას მოახდენს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულია მილიონობით საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომის შედეგად, პარტიის უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად. ბევრი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია ახლა უფრო კონკრეტულად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, უფრო ღრმად სწვდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, უკეთ სწავლობს და ნერგავს მოწინავე გამოცდილებას, უფრო აქტიურად უჭერს მხარს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მშრომელთა ინიციატივას. მაგრამ მცდარი და საზიანო იქნებოდა ასე წარმოგვედგინა საქმე, რომ ჩვენ უკვე ყველგან მოვუღეთ ბოლო შაბლონს, კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, გაუბერნენებასა და უპასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ჩამორჩენილი ოლქები, რაიონები, კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები. ბევრი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია ჯერ კიდევ ძველებურად განაგრძობს მუშაობას.

მიღწევებმა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოშვას თვითდამშვიდებისა და უდარდელობის განწყობილება. ეს მიღწევები გვიჩვენებენ უდიდეს შესაძლებლობებსა და რეზერვებს, რომლებიც აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მოუწოდებენ წინ და რაზმავენ მშრომელებს იმისათვის, რომ უსწრაფესად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო წლის დამთავრების სამუშაოები. საქმე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს: საჭიროა ორგანიზებულად და უმოკლეს ვადებში დავამთავროთ მარცვლის გალეწვა და გამოზიდვა, უზრუნველვყოთ მთელი დამზადებული პურის შენარჩუნება, დავამთავროთ სიმინდის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება და დამზადება, სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც აუცილებელია 1957 წლის უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის.

თვითეული რესპუბლიკისა და ოლქის, თვითეული რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო წლის ორგანიზებულად დამთავრება, ყველა ხახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება იმ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

„პრავდის“ 15-X მოწინავე.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ

15 ოქტომბერს დღის 12 საათზე მოსკოვში დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. დღეს გაიმართა პირველი სხდომა.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო. მოლაპარაკებას ესწრებიან: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი, მრჩეველი ნ. ბ. ადირხაევი.

იაპონიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: იაპონიის პრემიერ-მინისტრი იკირო ხატოიამა, მიწათმოქმედებისა და მეტყეველობის მინისტრი იკირო კონო, პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი სიუნიკი მაცუმოტო. მოლაპარაკებას ესწრებიან: მინისტრთა კაბინეტის უფროსის მოადგილე ტაკეიძო მაცუმოტო, საკანონმდებლო ბიუროს უფროსის მოადგილე მასამი ტაკაცუძი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულებათა განყოფილების გამგის მოადგილე მიცუტოსი ტაკახასი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა მრჩეველი სინსაკუ ხოგენი, შვეიცარიაში მისიის მრჩეველი კინია ნიიძეკი.

პირველ სხდომაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის შესავალი სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო!

საბჭოთა მთავრობის სახელით მოგესალმებით თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო და იაპონიის მთავრობის დელეგაციას, რომლებიც ჩამოხვედით მოსკოვში — საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ღონისძიებებს, პრემიერ-მინისტრო ბატონო ხატოიამა, რომლებსაც თქვენ იღებთ ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აღსადგენად.

მოსკოვში იაპონიის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლას, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ლონდონისა და მოსკოვის მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, აგრეთვე მხარეებს შორის შესაბამისი წერილების გაცვლა, რაც მოხდა 1956 წლის სექტემბერში, რომლებშიც ჩვენ დავთქვით დაგვეწყო ეს მოლაპარაკება მოსკოვში.

იწყებს რა მოლაპარაკებას სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ემყარებოდა და ემყარება თავის უცვლელ პოლიტიკას — მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი თანამშრომლობის პოლიტიკას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა არა მარტო მოსპობს ომის მდგომარეობას სსრ კავშირსა და იაპონიას შორის, არამედ ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებისათვის დასახავს მათ შორის ფართო, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გზას, ხელს შეუწყობს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნები შეძლებენ აწარმოონ და გაანავითარონ ურთიერთსასარგებლო მყარი ვაჭრობა დიდი მოცულობით, გაცვალონ სხვადასხვა მეცნიერული და ტექნიკური დელეგაციები, აგრეთვე მოაგვარონ კულტურული გაცვლა. ამისათვის არის ყველა საჭირო პირობა, და ეს, ჩვენი აზრით, ხელსაყრელი იქნება როგორც სსრ კავშირისათვის, ისე იაპონიისათვის.

გულწრფელად ესწრაფვის რა მშვიდობას იაპონიასთან და ითვალისწინებს მის სურვილებს, საბჭოთა კავშირმა წარი მოლაპარაკებაში საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ დათმობა გაუკეთა იაპონიის მხარეს, მათ შორის ტერიტორიულ საკითხშიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იაპონია მზად არ აღმოჩნდა ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებისათვის და მოგვმართა წინადადებით მოგვეხდინა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია საზავო ხელშეკრულების დაუდებლად ამჟამად, მაგრამ იმ პირობით, რომ მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, მათ შორის ტერიტორიულ საკითხზეც, გაგრძელდეს ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ.

ჩვენ დავეთანხმეთ იაპონიის მხარის ამ სურვილს.

საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ლონდონისა და მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია განხილულ საკითხებზე და მთლიანად შეთანხმდა ამ ხელშეკრულების თითქმის ყველა მუხლზე. წერილების გაცვლამ ჩვენს შორის, რაც მიმდინარე წლის სექტემბერში მოხდა, ცხადყო, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია ურთიერთგაგება და ფაქტიურად უკვე შემუშავებულია საბჭოთა კავშირისა და იაპონიას შორის დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის საფუძველი. ყოველივე ეს ადასტურებს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას და ეჭვი გვაქვს, რომ აუჯერად მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება.

* * *

შემდეგ განცხადება გააკეთა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იკირო ხატოიამამ.

იკირო ხატოიამას განცხადება

თქვენო აღმატებულებავ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონო ბულგანინ, ბატონო სრულუფლებიანო წარმომადგენლებო და ბატონო საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრებო!

ხელი შეეუწყო მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში და სარგებლობა მოვუტანო მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის საქმეს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის მდგომარეობის რაც შეიძლება მალე ლიკვიდაციისა და ურთიერთობის აღდგენის გზით — ეს იყო და არის ჩემი მუდმივი მისწრაფება. ჩემი კაბინეტის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი, რომელიც გამოეცხადა მთელ მსოფლიოს შარშანწინ წლის დამლევს კაბინეტის შექმნისთანავე, ემყარებოდა სწორედ ამ მისწრაფებას. მაშინ საბჭოთა კავშირის მთავრობამ ბატონ დონმნიკის წერილით შემომთავაზა აღგვედგინა ნორმალური ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი პირობების საფუძველზე, რასაც მე სულით და გულით მივესალმე. მას შემდეგ ამ მიზნით მოეწყო მოლაპარაკება იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის როგორც ლონდონში, ისე მოსკოვში. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ შეძლო ბევრ საკითხში საერთო თვალსაზრისამდე მისულიყო, მაგრამ ტერიტორიულ საკითხზე შეუთანხმებლობის გამო დღემდე ვერ მოხერხდა ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. იმისათვის, რომ გამოვნახოთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, მე მოგმართეთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, ამა წლის 11 სექტემბრის წერილით, რომელშიც, სხვათა შორის, გთხოვდით, რომ საბჭოთა მხარე დათანხმებულიყო ტერიტორიულ საკითხზე მოლაპარაკების განგრძობას მომავალში და ამასთან ერთად დათანხმებულიყო აგრეთვე შემდეგ ხუთ დებულებაზე, სახელდობრ (1) ომის მდგომარეობის დამთავრება ორივე ქვეყანას შორის, (2) დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლა საელჩოს დონეზე, (3) საბჭოთა კავშირში დარჩენილ იაპონელ მოქალაქეთა დაუყოვნებლივი რეპატრიაცია, (4) 1956 წლის 14 მაისს ხელმოწერილი თეგზეერის კონვენციის ძალაში შესვლა და (5) საბჭოთა კავშირის მიერ იაპონიის მიმართვის მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ, ამასთან წინადადება იყო აგრეთვე, რომ შესაძლებლობის მიხედვით მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილებანი იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ ორივე მხარე შეთანხმდა ლონდონისა და მოსკოვის მოლაპარაკებაზე. ამ გაგების მიხედვით, მე წარმოვადგინე წინადადება დაგვეწყო მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ძალიან მოხარული ვიყავი, როცა თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, იმავე თვის 13 რიცხვის წერილით დაეთანხმეთ ჩემს წინადადებას. ამის შემდეგ გასულ 29 სექტემბერს აღნიშნული გაგების საფუძველზე მოხდა წერილების გაცვლა იაპონის სრულუფლებიან წარმომადგენელ ბატონ მაცუმოტოსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ გრომიკოს შორის ტერიტორიული საკითხის განხილვის განგრძობის შესახებ.

მე ახლა მოსკოვში სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ ზემოაღნიშნული გაგების საფუძველზე პირადად გავუზიაროთ ერთმანეთს გულახდილი აზრები და ამით აღვადგინოთ ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ გამოვნახავთ ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებებს მეგობრული მოლაპარაკების გზით, ერთი მხრივ, თქვენს დელეგატებსა, და, მეორე მხრივ, ჩემსა, ბატონ კონოსა და ბატონ მაცუმოტოს შორის.

მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და გამოვთქვა ჩემი დიდი მადლობა თავაზიანი მიღებისა და დახმარებისათვის, რომელიც მე და ჩემს თანამგზავრებს გაგიწევიეთ.

* * *

აზრთა შემდგომი გაცვლების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ გამოყონ ორივე დელეგაციიდან სრულუფლებიანი წარმომადგენლები და დაავალონ მათ წინასწარ განიხილონ და სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების განსახილველად წარადგინონ შესაბამისი შეთანხმებული დოკუმენტები. საბჭოთა კავშირის მხრივ წარმომადგენელია ა. ა. გრომიკო, იაპონიის მხრივ — სიუნიკი მაცუმოტო.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში, ორივე მხარის ურთიერთგაგებისა და იმ სურვილის სულისკვეთებით, რომ ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის უსწრაფეს ნორმალიზაციას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების შემდეგი სხდომა განისაზღვრება უფრო გვიან. (საკდესი).

უზბეკეთის ინჟელიგენციის ყრილობა

ტაშკენტი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა უზბეკეთის ინტელიგენციის ყრილობის საბოლოო სხდომა. სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ა. მუხიტდინოვის მოხსენებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და რესპუბლიკის ინტელიგენციის ამოცანები“.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მახაილოვმა. აღნიშნა რა უზბეკეთის ინტელიგენციის პირველი ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა, მან ილაპარაკა დიდ ღონისძიებებზე, რომლებიც მეექვსე ხუთწლედში განხორციელდება კულტურული მშენებლობის დარგში.

ანდიჟანის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პ. კაიუმოვმა თქვა, რომ ინტელიგენციასთან მუშაობაში ჯერ კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი. ნაკლები ყურადღება ექცევა ინტელექტუალური შრომის მუშაკთა იდეურ-თეორიული და კულტურული დონის ამაღლებას.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ს. ძოწენიძე. საქართველოს ინტელიგენციისა და ყველა მშრომელის სახელით მან უზბეკეთის რესპუბლიკის ინტელიგენციის პირველ ყრილობას გადასცა მხურვალე, ძმური სალამი და რწმენა გამოთქვა, რომ მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა უზბეკეთსა და საქართველოს შორის, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებს შორის, განუწყვეტლივ გაფართოვდება და შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებს.

რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა უზბეკეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ვ. ი. კარასევმა.

უზბეკეთის ინტელიგენციის პირველი ყრილობასადმი ტაჯიკეთის კომპარტიისა და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი დეპეშა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, გამოაქვეყნა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. შარიპოვმა.

სიტყვა ეძღვნა უზბეკეთის საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ა. აბდულაევს. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ უზბეკეთის მხატვრებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ შექმნან სრულფასოვანი ტილოები, რომლებიც ღირსი იქნებიან ჩვენი დიდი სოციალისტური ეპოქისა.

მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ტ. ნ. კარი-ნიაზოვმა.

საბოლოო სიტყვას ამბობს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ა. მუხიტდინოვი.

— ეს ყრილობა უდიდესი მოვლენაა საბჭოთა უზბეკეთის ინტელიგენციისა და ყველა მშრომელის ცხოვრებაში, — ამბობს ნ. ა. მუხიტდინოვი.

დელეგატებმა ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს ყრილობაზე დასმული საკითხები. ყრილობამ ცხადყო რესპუბლიკის ინტელიგენციის რიგების ერთიანობა და დარაზმულობა. მისი ერთგულება კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი, მისი განუხრელი მისწრაფება მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად იბრძოლოს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზბეკეთის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის.

ტრიბუნიდან გაისმოდა მგრძნობიარე სიტყვები ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობაზე, მათს მუდმივ თანამშრომლობაზე, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაზე.

ნება მიბოძეთ ყრილობის მონაწილეთა სახელით, უზბეკეთის ყველა მშრომელის სახელით ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ძვირფას სტუმრებს და ვთხოვო მათ გადასცენ ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მშრომელებს ჩვენი ძმური სალამი და მათს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდ წარმატებათა მხურვალე სურვილები. (ტასი).

ყოველთვის და ყველაფერში ვგრძნობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ ყურადღებასა და დახმარებას. უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მშრომელები და ინტელიგენცია ამის გამო დიდ მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (ტასი).

ყრილობაზე ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ამხ. ჯან ხან-ინის მკაფიო გამოსვლა გამსჭვალული იყო ნამდვილი მეგობრობის სულისკვეთებით. ჩვენ გვახარებენ მომძლი ჩინელი ხალხის უდიდესი წარმატებანი ჩინეთის სოციალისტურ გარდაქმნაში. გულწრფელად ვუსურვებთ დიდ ჩინელ ხალხს წარმატებას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. (ტასი).

ჩვენს ყრილობაზე ეგვიპტის დელეგაციის ხელმძღვანელის ბ-ნ მუჰამედ მანდურის მგრძნობიარე გამოსვლამ, მისმა მისალმებამ და კეთილმა სურვილებმა უზბეკეთის მშრომელებისადმი ჩვენს გულში ღრმა გრძნობები დატოვეს. ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ, ბ-ნო მუჰამედ მ

დადგა საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი დღეები

★ ★ ★

გარდატეხა არ მომხდარა

ბევრი მექანიზატორი და კოლმეურნე დაწინაურდა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გომის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადაში (ხელმძღვანელი ა. აკოფოვი) ღამით ნიადაგს ამზადებენ, დღისით კი თესავენ. ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა გ. აკოფოვმა მოაწყო სამსათიანი აგრეგატი და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მან სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჯვარედინად დათესა 320 ჰექტარი. მექანიზატორი უფრთხილდება ტრაქტორის თვითეულ ნაწილს, კარგად აქვს მოწყობილი ტექნიკური მოვლა. მოწინავეთა რიგები მეტი იქნებოდა და სამუშაოთა ტემპი უფრო მაღალი, წარჩინებულ მექანიზატორთა გამოცდილების დანერგვას რომ ახდენდეს გომის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ამითაც აიხსნება, რომ გომის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 9 ოქტომბრისათვის საშემოდგომო ხორბალი დათესილი იყო მხოლოდ 1.266 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.800 ჰექტარისა. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ბევრი მექანიზატორი ვერ ასრულებს დღიური გამომუშავების ნორმებს, თავს არიდებს ღამით მუშაობას. არაწესიერი მუშაობის შედეგად ტრაქტორებს ხშირად უზიანდებათ ნაწილები, მათი აღდგენა სწრაფად არ წარმოებს. 9 ოქტომბერს ნაწილების დაზიანების გამო მთელ დღეს მოცდა ტრაქტორები სოფელ ფლევში, ალში და ნაბახტევში, ხოლო წრომის სატრაქტორო ბრიგადაში „დტ-54“ ნარკის ტრაქტორი, რომელსაც გ. ქურდაძე მართავდა, 20 დღე უქმად იდგა.

დიდად ჩამორჩა ხაშურის მტს-ი (დირექტორი გ. გაგნიძე). 10 ოქტომბრისათვის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში დათესილი იყო მხოლოდ 1.352 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.412 ჰექტარისა. მექანიზატორებმა დათესეს 923 ჰექტარი ნაცვლად 2.000 ჰექტარისა. ჩამორჩენაა საშემოდგომო ხვნაშიც. მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებლობას არ გრძნობენ საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის. ბევრი მექანიზატორი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაგრამ დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ არ იციან, თუ ვინ როგორ ასრულებს ვალდებულებებს.

ხაშურის მტს-ი ყურადღებას არ აქცევს მთის კოლმეურნეობებს. სოფელ თხილნარის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში წელს შემოდგომის ხორბალი 80 ჰექტარზე უნდა დათესონ. კოლმეურნეობაში არათუ თესვა არ არის დაწყებული, პურის ლეწვაც დაუმთავრებელია. ამ მიზეზით სათესლე მასალა არ არის გამოყოფილი, განაწილებისმგებლობა არ არის, რომ მტსმა გაუმართავი სალეწი მანქანა მაშინ გაუგზავნა კოლმეურნეობას, როცა ლეწვა ბარის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს. ასეთი „დახმარების“ შედეგად კოლმეურნეობაში არ წარმოებს მზრალად ხვნა, არ დაუწყიათ სილოსის ჩადება. ანალოგიური მდგომარეობაა ცეცხის ბუღგანინის სახელობის კოლმეურნეობაში.

პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არაოპერატიულად ხელმძღვანელობენ ხვნა-თესვას. ნაკლებად იგრძნობა რაიონში მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, არა ჩანს მტს-ების ზონებში რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფების და პარტიული ორგანიზაციების დამრაზმველი როლი.

სოფელ წრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ქ. ტუსიაშვილმა არ იცოდა, რამდენ ჰექტარზე უნდა დაითესოს მათს კოლმეურნეობაში შემოდგომის ხორბალი. პარტიული ორგანიზაცია ვერ ახორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობაზე. ჩაშლილია ხორბლის ჯვარედინად თესვის გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას 90 უდელი ხარი ჰყავს, ცოცხალი გამწევი ძალით დათესილია მხოლოდ 15 ჰექტარი.

პარტიული ორგანიზაციის მდივანი ქ. ტუსიაშვილი დაინტერესებული არ არის კოლმეურნეობის საქმეებით. იგი არ ითვლება კოლმეურნეობის წევრად. მუშაობს მემინდვრეობის ინსტიტუტის გორის საცდელი მინდვრის ხაშურის დასაყრდენ პუნქტში და მათგან იღებს ხელფასს. ადრე ირიცხებოდა წრომის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში, ხოლო როცა ეს ორგანიზაცია გაუქმდა, ჩარიცხეს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში და აირჩიეს პარტბიუროს მდივნად.

პარტიის ხაშურის რაიკომმა 1956 წლის 19 სექტემბერს განიხილა კოლმეურნეობებში თესლის მომზადების, ხოლო 2 ოქტომბერს საშემოდგომო ხვნა-თესვაში სურამის მექანიზაციის სკოლის მანქანა-ტრაქტორების გამოყენების საკითხი, მაგრამ თესვაში გარდატეხა არ მომხდარა. დადგენილებები რა ამომწურავი და კარგიც არ უნდა იყოს, სათანადო შედეგს ვერ გამოიღებენ, თუ ისინი განმტკიცებული არ არის ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით. ეს უნდა გაითვალისწინონ პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მივბაძოთ მოწინავეებს

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, კისისხევის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზამ“ საშემოდგომო თესვის 15 ოქტომბრამდე დამთავრება იკისრა. ასე ჩაწერეს ვალდებულებათა ერთ მუხლში თელავის მტს-ის ამ ბრიგადის მექანიზატორებმაც, რომელსაც გ. თუშბარამშვილი ხელმძღვანელობს. თესვაზე მიმუშავენი დღისით თესავდნენ, ღამით კი ხვნაზე ამუშავებდნენ ტრაქტორებს. მექანიზატორებს კოლმეურნეები დახმარებას არ აკლებდნენ. ნაკვეთები კარგად გაწმენდეს, საწვავისა და წყლის მიტანა არ დაუგვიანებიათ.

კისისხევის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. საგანელიძე) წევრებმა თელავის მტს-ის მექანიზატორებთან თანამეგობრობით საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ხუთი დღით ადრე გაანაღდეს, საშემოდგომო თესვის გეგმა 10 ოქტომბრისათვის რაიონში პირველებმა 101 პროცენტით შეასრულეს. ხორბალი დათესილია 257 ჰექტარზე. კისისხეველები თესვას განაგრძობენ.

შეჯიბრებაში დაწინაურდა ნაფარეულის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. დიასამიძე). ბრიგადამ 478 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 550 ჰექტარი, დათესა 400 ჰექტარი, თესვას ძირითადად პროგრესული წესით — ჯვარედინად აწარმოებს. ასეთი წესით ნათესმა ნაფარეულელებს შარშან ყოველ ჰექტარზე ოთხი ცენტნერი ხორბალი შემატა.

ბრიგადის ყველა მექანიზატორი მოწინავეა, მაგრამ მათ შორის უკეთესებიც არიან. ა. ჯავახიშვილმა „დტ-54“ მარკის ტრაქტორით მოხნა 265 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარისა. გადამეტებით შეასრულა ხვნის დავალება ტრაქტორისტმა გ. ტრინკოზაშვილმა. თესვის დღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ ტრაქტორისტები ა. ჯაშიაშვილი და ა. ბწკილიშვილი.

ფშავლის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე პ. კერვალიშვილი) ხორბალი 620 ჰექტარი უნდა დათესოს, ფაქტიურად შვიდასი ჰექტარის დათესვას ვარაუდობენ. აქ ნაფარეულის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. ბასილაშვილი) მუშაობს. ტრაქტორისტებს შორის დაწინაურდა ე. წიქარაძე, რომელმაც „დტ-54“ მარკის ტრაქტორით 185 ჰექტარის ნაცვლად 240 ჰექტარი მოხნა. არის ნაკლიც. ყველა მექანიზატორი მონდომებით არ მუშაობს, თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. დღემდე სამას ჰექტარზე მეტი არ არის დათესილი. ტრაქტორისტი მ. ჩუბინიძე „კდ-35“ მარკის ტრაქტორს ცუდად უვლის. ამიტომ თესვის დავალებას თითქმის ვერცერთ დღეს ვერ ასრულებს.

ბრიგადაში სხვა ნაკლოვანებაც არის. „ნატის“ მარკის ტრაქტორი ხშირად უქმად დგას. საშემოდგომოდ ხუთ ჰექტარზე მეტი არ მოუხნავს. ხდება ისიც, რომ კოლმეურნეობის მიზეზით თესვა ფერხდება. 8 ოქტომბერს კოლმეურნეობის ბრიგადირს რამან ბერიკაშვილს თესლის წაღება დაავიწყდა. ეს ამბავი მეორე ბრიგადირმა ა. აბუთევმა შეიტყო და თესლი დღის 2 საათზე მიუტანა მექანიზატორებს, მაგრამ იგი ოთხ საათზე მეტხანს არ ეყოთ. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

ამ ბლოკ დროს ნაფარეულის მტს-ს ზოგიერთი სახის საწვავი და საცხები შემოაკლდა. ლიგროინის უქონლობით „დტ-54“ მარკის ორი ტრაქტორი ოთხ დღეს გაცდა.

თელავის ნავთობბაზას ლიგროინი ბევრი აქვს, ნაფარეულელი მექანიზატორები კი მისი უქონლობით ცდებიან. განა ეს დასაშვებია?

საშემოდგომო თესვა ზოგიერთ კოლმეურნეობაში უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს. ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 660 ჰექტარიდან დღემდე სამასი ჰექტარიც არა აქვს დათესილი. ასევე ჩამორჩენილი არიან ლაფანყურის, შალაურის, იყალთოს, წინანდლის, აკურის კოლმეურნეობები. ასლოდდება საშემოდგომო თესვის დამთავრების ვადა. საჭიროა რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა, ქმედითად დაეხმარონ ჩამორჩენილებს, მიაღწიონ ხვნა-თესვის დამთავრებას აგროტექნიკურ ვადებში.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოფლის მეურნეობის მიღწევათა დემონსტრაცია

გარეუბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ხალხის არაჩვეულებრივი სიმრავლეა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში. ტრანსპარანტები, ლოზუნგები, წითელი დროშები ამშვენებენ გამოფენის ტერიტორიას. მოსულან კუმისელები და მარტყოფელები, დიმელები და ავჭალელები, ლილოელები და თელეთელები, ისინი, ვინც დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომით მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

გამოფენის ტერიტორიაზე შესვლისთანავე მნახველთა ყურადღებას იქცევს შესანიშნავი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომლებითაც საბჭოთა სახელმწიფომ უხვად შეიარაღა სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ერთ-ერთ სტენდზე ვკითხულობთ, რომ გარეუბნის რაიონმა გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო დავალებათა გეგმები. დიდია პროდუქციის ზრდა წინა წლებთან შედარებით, თუ 1950 წელს თავთავიანი კულტურების მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ 6,5 ცენტნერს შეადგენდა, წელს მან 12,8 ცენტნერს მიაღწია. სიმინდის საერთო მოსავალი 1953 წელთან შედარებით 642 პროცენტით გადიდდა, მთლიანად შესრულებულია წველადობის დავალება, რომელიც მეექვსე ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე.

სტუმრები და გამოფენის მონაწილეები დიდი ინტერესით ეცნობიან კუმისის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ წარმოდგენილ ექსპონატებს, სტენდებს, დიაგრამებს.

გამოფენის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა სამტრესტის დიდმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. 1947 წელს არსებული 38 ჰექტარი ვენახი აქ 122 ჰექტარამდე გაუზრდიათ, ხოლო საერთო მოსავლიანობა 8.380 ცენტნერამდე.

ყურადღებას იპყრობს სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საწარმოო მაჩვენებლები. წინა წელთან შედარებით აქ თვითეულ ჰექტარზე 4 ცენტნერით მეტი მარცვლეული კულტურების მოსავალი მოიყვანეს, 35 ცენტნერით მეტი ყურძენი, 45 ცენტნერით მეტი ბოსტნეული კულტურები.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი დიდმის მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მიერ გამოყვანილმა ვაზისა და ხეხილის ახალმა ჯიშებმა საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურეს. მიმდინარე წელს მეცნიერებმა ათჯერ მოაწყეს გამსვლელი სესია ადგილებზე და ორასამდე ლექციათ-მოხსენება წაიკითხეს.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პავილიონებთან. აქ შეხვდებით სახელგანთქმულ მეცხოველეებს ნ. ქაჯაიას, მ. ქავთარაძეს, ფ. საათაშვილს, მ. ძიძიკაშვილს, მ. ბუდალოვას, ა. გარსევანოვას. ისინი ლაპარაკობენ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა იმ შრომითს წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. გამოფენაზე შეხვდებით სომინდის უხვი მოსავლის ოსტატს შ. ძიძიკაშვილს, მევენახე ა. მაისურაძეს, კომბაინერ ხ. შოშიაშვილს, ტრაქტორისტ ვ. კობიაშვილს და მრავალ სხვას. ისინი ყურადღებით ეცნობიან და სწავლობენ ერთმანეთის გამოცდილებას, ხალისით მოუთხრობენ თავიანთი წარმატებების შესახებ, ახალ ცოდნას იძენენ, რათა გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ უფრო მეტი შემოქმედებითი ენერგიით მოძკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის წინაშე მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

...მთელი დღე არ შენელებულა მნახველთა მისვლა გამოფენაზე. სადამოს, ელნათურების შუქზე კიდევ უფრო დამშვენდა კოლმეურნეთა სიმდიდრისა და სილამაზის ამსახველი გამოფენა. დღესასწაული აქვთ სოფლის მეურნეობის ნოვატორებს. ხედავ ამ დაუღლელ, მკლავმაგარ, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, და მთელი გულით იმეორებ — თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს, შრომისმოყვარე ადამიანებო!

ბ. შეწირული.

• • •

სურათებზე: ზევით — მარტყოფის მტს-ის კომბაინერი ს. შოშიაშვილი, რომელმაც მოიპოვა რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება, მნახველებს უზიარებს თავის გამოცდილებას. ქვევით — მნახველთა ერთი ჯგუფი ათვალიერებს სამტრესტის დიდმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პავილიონს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი

13 ოქტომბერს მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი საერთო კრება. იგი მიეძღვნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნებს იმასთან დაკავშირებით, რომ რწმუნებათა ვადა გაუთავდა ა. ნ. ნესმეიანოვს.

კრების თავმჯდომარემ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა სიტყვა მისცა აკადემიკოს ა. ვ. ტოპჩიევს, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით გამოვიდა.

აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასულ ხუთ წელიწადში აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა გაამართლა მისთვის აღმოჩენილი მაღალი ნდობა. მან თქვა, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა რვაკე განყოფილების გადაწყვეტილებანი და აკადემიის საერთო კრებას ურჩევს ა. ნ. ნესმეიანოვის კანდიდატურას შემდგომ ხუთწლედში პრეზიდენტად არჩევისათვის.

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების პარტჯგუფის დავალებით აკადემიკოსმა ვ. პ. ვოლგინმა განაცხადა მისი გადაწყვეტილება — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტის კანდიდატად ურჩიოს ა. ნ. ნესმეიანოვი. ამხ. ვოლგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ა. ნ. ნესმეიანოვი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მეცნიერთა შორის, აქვს მეცნიერულ-ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება და ფართო პოლიტიკური და მეცნიერული ჰორიზონტი.

ფარული კენჭისყრით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია აკადემიკოსი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ნესმეიანოვი. (საკდესი).

დამთავრდა თერაპევტთა XIV სრულიად საკავშირო ყრილობა

13 ოქტომბერს მუშაობა დაამთავრა თერაპევტთა XIV სრულიად საკავშირო ყრილობამ. საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუციები მოსმენილ სამეცნიერო მოხსენებათა და თერაპევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყრილობის მონაწილეებმა სრულიად საკავშირო სამეცნიერო თერაპევტული საზოგადოების საპატიო წევრთა შემადგენლობაში ერთხმად აირჩიეს უცხოელ მეცნიერთა ჯგუფი. თერაპევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრთა რიცხვში აგრეთვე არჩეული არიან ცნობილი საბჭოთა მეცნიერები: პროფესორები ვ. ნ. ვინოგრადოვი, ვ. ფ. ზელენინი, ბ. ა. ჩერნოგუბოვი, მ. ვ. ჩერნორუდკი, მ. დ. ტუშინსკი, ლ. ა. ოჰანესიანი, მ. დ. წინამძღვრიშვილი, ვ. ნ. ივანოვი.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოისმინეს დამთავლილი კომისიის ცნობა არჩევნების შედეგების შესახებ. თერაპევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის ბევრი სხვა ქალაქის თვალსაჩინო მეცნიერები და ექიმები.

ყრილობის დახურვის შემდეგ თერაპევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პლენუმზე გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ნ. ვინოგრადოვი, ხოლო მის მოადგილეებად სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. ლ. მიასნიკოვი და მ. ს. ვოვსი. (საკდესი).

კადრების ეკონომიური განათლების გზით

◎

პროპაგანდისტის წერილი

◎

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სოციალისტური მრეწველობის შენდგომი განვითარების დიდი პროგრამა დასახა, რომლის განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ სამრეწველო საწარმოთა მუშაობას. ეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების, ყველა კომუნისტის წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებს მტკიცედ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიურ თეორიას.

კადრების ეკონომიური ცოდნით შეიარაღების მიზნით თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ა. ართილაყვა) ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს ჩამოაყალიბა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომლის ხელმძღვანელობა მე დამევალა. სემინარში გაერთიანდნენ ქარხნის საამქროთა და განყოფილებათა უფროსები, ინჟინერ-ტექნიკოსები და წამყვანი პროფესიის მოწინავე მუშები.

გასულ სასწავლო წელს სემინარი ნაყოფიერად მუშაობდა, მსმენელები ეკონომიურ თეორიას ეუფლებოდნენ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლა ხელს უწყობდა მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, ნაკლოვანებათა გამოაშკარავებასა და გამოსწორებას, მუშაობის შენდგომ გაუმჯობესებას. მეცადინეობის მსვლელობაში მსმენელებს გავაცანი საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს თამბაქოს მრეწველობის მოწინავე ფაბრიკების გამოცდილება, ტექნიკის თანამედროვე მიღწევები.

მეცადინეობა ძირითადად მიმდინარეობდა ჩვენი ფაბრიკის წინაშე მდგომი ამოცანებიდან გამომდინარე მთავარი საკითხების ირგვლივ. ეს საკითხებია: ფაბრიკის ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდის უზრუნველყოფა წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების გზით. ამ საკითხების განხილვა და შესწავლა დაეხმარა მსმენელს უკეთესად დაენახათ თავიანთი საწარმოს ნაკლი, გამოენახათ გზები, რომელთა საშუალებითაც უფრო მოსახერხებელია არსებული რეზერვების სრულად გამოყენება. მსმენელთა ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლამ, პიროვნების კულტის შედეგების აღმოსაფხვრელად გაჩაღებულმა ბრძოლამ.

წარმოების ძირითადი საშუალებების გამოყენების ეკონომიურმა ანალიზმა სემინარის მსმენელებს შემდეგი სურათი გადაუშალა. 1955 წელს წარმოების ძირითად საშუალებათა დახარჯული წილი (საამორტიზაციო დანარიცხების სახით) ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაში 0,78 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 0,07 პროცენტით დაბალია გეგმით გათვალისწინებულ საამორტიზაციო დანახარჯებთან შედარებით. ფაბრიკის კოლექტივმა 1955 წელს შესადარი პროდუქციის თვითღირებულება შეაჩერა 1,8 პროცენტით, ამავე დროს შრომის ნაყოფიერება გაადიდა გეგმასთან შედარებით 5,4 პროცენტით. მიმდინარე წლის 9 თვეში კი შრომის ნაყოფიერება გაზრდილ იქნა 3,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირებულ იქნა 3,9 პროცენტით. ამავე პერიოდში დაზოგილ იქნა 13 ტონა თამბაქოს ნედლეული, 29 ათასი კვადრატული მეტრი საჭილზე ქაღალდი, 5 ტონა სამუნდშტუკე ქაღალდი, რამაც ფაბრიკას 200 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა.

მსმენელების შეკითხვაზე: — უპასუხებს თუ არა აღნიშნული მაჩვენებლები წარმოების სიმძლავრისა და რეზერვების სრულად გამოყენების დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს? — მე უარყოფითად ვუპასუხე.

— ჩვენს ფაბრიკას, — განვუმარტე მათ, — მართალია, საქართველოში არსებულ თამბაქოს ფაბრიკებს შორის ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს და სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს თამბაქოს ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა უპყრია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არსებული რეზერვები სრულად გვქონდეს გამოყენებული. საწარმოს ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ შიდასაწარმოო რეზერვები, წარმატებით შევასრულოთ მანქანა-დანადგარების ტექნიკური ნორმა, ავაჩალოთ პროდუქციის ხარისხი, წარმოებაში დავნერგოთ შრომის მოწინავე მეთოდები. 1955 წელს პაპიროსის დამტენი მანქანების ტექნიკური ნორმის შესრულება 86,8 პროცენტს შეადგენდა ნაცვლად 100 პროცენტისა. ჩვენ რომ მანქანა-დანადგარების ტექნიკური ნორმების შესრულებაში 100 პროცენტისათვის მიგვეღწია, ფაბრიკა 1955 წელს 400 მილიონით მეტ პაპიროსს გამოუშვებდა, რაც მკვეთრად გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებდა პროდუქციის თვითღირებულებას.

ამ ფაქტმა სემინარის მსმენელები სერიოზულად დააფიქრა. პარტიულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციასთან ერთად განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი მანქანა-დანადგარების ტექნიკური ნორმების შესრულებისათვის. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სემინარის ყველა მსმენელმა.

თამბაქოს მრეწველობის მოწინავე საწარმოთა გამოცდილების განზოგადების საფუძველზე გასული წლის ნოემბერში მმართველობის აპარატის გამარტივებისა და შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწყობის მიზნით გავაერთიანეთ ჰილზების დამამზადებელი და პაპიროსის დამტენი საამქროები, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეთავისუფლებინა და სხვა სამუშაოზე გამოგვეყენებინა 9 მუშაკი, მათ შორის სამი სპეციალისტი. დადებითად იმოქმედა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე პაპიროსის კოლოფების დამამზადებელი და ეტიკეტების საბეჭდი საამქროების გაერთიანებამაც.

წარმოების ეკონომიკის საკითხების შესწავლამ, კადრების მომზადებამ და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებამ საშუალება მოგვცა მკვეთრად გაგვედიდებინა შრომის ნაყოფიერება და შეგვემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის საწარმოო დავალება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დარგში 110,4 პროცენტით შეასრულა, ამასთან შრომის ნაყოფიერება გადიდდა 8,2 პროცენტით. საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რითაც საამშობლომ 2 მილიონ 660 ათასი მანეთი დაგროვება მიიღო. მიმდინარე წელს კიდევ უფრო კარგად იმუშავა საწარმომ — 9 თვის გეგმა 111,6 პროცენტით არის შესრულებული, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 167 მილიონი პაპიროსი და სიგარეტი.

სემინარის მონაწილეები სათავეში უდგანან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. საჰილზე მანქანების მექანიკოსი კომუნისტი მ. ტერ-გრიგორიანი ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა 114 პროცენტით შეასრულოს დავალება. ახლა იგი დიდი გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. კომუნისტმა ხარატმა მ. კარაიანმა 9 თვეში წლინახევრის საწარმოო გეგმა შეასრულა და საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. იგი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას 160-180 პროცენტით ანაღდებს. თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე სემინარის მსმენელები — ჰილზებისა და პაპიროსის დამტენი საამქროს უფროსი კომუნისტი ი. ახალაძე, თამბაქოს საამქროს უფროსი ბ. ჯავახიშვილი, პაპიროსის ჩამწყობი საამქროს ცვლის უფროსი კომკავშირელი თ. ნიშნიანიძე და სხვები.

წელს ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი წარმოებაში დავნერგოთ ოდესის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივის გამოცდილება. ამ გამოცდილების დანერგვა საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად შევამციროთ დამხმარე სამუშაოთა მოცულობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება მუშახელის შემცირებისა და საწარმოო ფართობების რაციონალურად გამოყენების გზით.

ახალი სასწავლო წლიდან კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში გაცილებით მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი მეცადინეობს. 1 ოქტომბრიდან მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო. წელს უფრო კარგად მოვაწყეთ სამეცადინო ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია საკმაო დგამავეჯით, რუკებით და თვალსაჩინოების სხვა მასალებით. ოთახში გაკრულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლების ამსახველი მხატვრულად გაფორმებული დიაგრამები.

პირველ მეცადინეობაზე მსმენელებს გავაცანი მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა.

— ჩვენი მთავარი ამოცანა, — ვუთხარი სემინარის მონაწილეებს, — იქნება წარმოების ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება და ახალი შიდასაწარმოო რეზერვების ამოქმედება ფაბრიკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა ვისწავლოთ წარმოების ეკონომიკის საკითხები.

მეცადინეობის პირველი საათი მიეძღვნა გასულ წელს შესწავლილი მასალების გამეორებას და მეხსიერებაში განმტკიცებას. შემდეგ საათში ვისაუბრეთ ახალ თემაზე — „სოციალისტური საწარმოების მმართველობის მეთოდები“.

საუბრის დამთავრების შემდეგ ვუპასუხე მსმენელთა შეკითხვებზე, ამასთან დავუსახელე სახელმძღვანელო ლიტერატურა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები.

მსმენელები დიდ მონდომებას და ინტერესს იჩენენ კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლისადმი.

ა. კეკელია,
თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი.

თბილისში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის

ამ დღეებში ძერჟინსკის სახელობის კლუბში შედგა ქალაქ თბილისის სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრებაზე მოსმენილ იქნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. გეგეშიძის მოხსენება: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმის შედეგები და სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაკთა ამოცანები.

— პარტიის XX ყრილობამ, — თქვა მომხსენებელმა, — დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო, აღადგინა პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები, დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან პიროვნების კულტის შედეგები პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში.

მომხსენებელი და აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა ხელს უწყობს კომუნისტების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ზრდას, მათი როლის ამაღლებას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებაში, საბჭოთა კანონიერების მტკიცედ დაცვაში.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათავეში იდგა ხალხის პირწავარდნილი მტერი, უცხოეთის დაზვერვის აგენტი ბერია, პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ზოგიერთ მნიშვნელოვან უბანზე იყვნენ აშკარა ნაციონალისტები, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწოდნენ. სარგებლობდნენ რა ბერიის მფარველობით, რესპუბლიკის სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის მუშაკები მრავალი წლის განმავლობაში კონტროლისა და კრიტიკის გარეშე იყვნენ, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა კანონიერების უხეშ დარღვევებს, მლიქნელობის, შინაურულობის, მაამებლობის დანერგვას.

ამხ. გეგეშიძემ ილაპარაკა სერიოზულ ნაკლოვანებებზე სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. მან მოიყვანა მაგალითები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს, არ ეწევიან გადამწყვეტ ბრძოლას საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ, სპეკულაციისთან, ხულიგნობასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების დარღვევებთან.

მართალია, უკანასკნელ ხანს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა ერთგვარად გაძლიერდა, მაგრამ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ქალაქში ვხვდებით სახელმწიფო ქონების დატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობის, ხულიგნობის მრავალ ფაქტს. მაგალითად, ისარგებლა რა ხელმძღვანელების წაყრუებითა და რევიზორ-მუხსალრების ხელისშეშლით, თბილმრეწვაჭრობის № 7 მაღაზიის სექციონერმა მ. ისრაელიანმა სახელმწიფოს 123.785 მანეთი წაგლეჯა. ფაბრიკა „კომკავშირელში“ (დირექტორი ა. ტოპეშაშვილი) ბორტმოქმედებმა გაფლანგეს 100.000 მანეთი.

სახელმწიფო ქონების დაცვის საქმე ცუდად არის დაყენებული ფაბრიკა „საქრიკოტაჟში“ (დირექტორი ა. ანტონოვა), № 1 და № 2 ტყავის ქარხნებში (დირექტორები გ. ხაზარაძე და ტ. თევდორაძე), მაუდ-კამეოლის კომბინატში (დირექტორი ნ. თუშიშვილი), ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკაში, № 1 და № 2 თამბაქოს ფაბრიკებში და სხვ.

სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობაში არის დამნაშავეთა საქმეების უხარისხოდ გამოძიების, საქმეების გამოძიების გაჭიანურებისა და ლიბერალური გაანჩენების გამოტანის შემთხვევები. დამნაშავე გ. იაგუტიანს აღმოაჩინდა საიდუმლო საამქრო, სადაც ტყავს ამზადებდა. 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ უ. თარგამაძის თავმჯდომარეობით გ. იაგუტიანს წელიწადნახევარი პატიმრობით და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა, ხოლო უმაღლესმა სასამართლომ ა. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით ბორტმოქმედი „შეიწყალა“ და მას ერთი წლით იძულებითი მუშაობა შეუფარდა. ამ „პრაქტიკით“ ისარგებლა მოსამართლე უ. თარგამაძემ და ტყავის საიდუმლო დამამზადებელს გ. მარტიროსოვს ფულადი ჯარიმა აკმარა.

სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პარტიულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. კიროვის რაიონის პროკურატურის პარტორგანიზაციამ (მდივანი ნ. კოხრეიძე) 28 ივლისს კომუნისტთა კრებაზე განიხილა საკითხი პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგების შესახებ. კრებამ მოუმზადებლად, კომუნისტების დაბალი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა და ზერელე დადგენილება მიიღო: „მიღებულ იქნას ცნობად“.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოლოტოვის, სტალინის, ლენინის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონების სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, სუსტად ებრძვიან გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დანაშაულობათა ლიკვიდაციისათვის.

თავის გამოსვლაში პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. შევარდნაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ სტალინის პიროვნების კულტმა რესპუბლიკაში და, კერძოდ, თბილისში განსაკუთრებით გაზვიადებული ფორმები და ნაციონალისტური ელფერი მიიღო. უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს მშრომელებს საზიზღარი მტრის ბერიას პარპაშმა. ამხ. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა პროკურატურა-სასამართლოებისა და მილიციის ორგანოებში გაძლიერდეს ბრძოლა ბერიეფშჩინის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ო. მუსერიძემ აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მილიციის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების საკითხებზე. მან გააკრიტიკა ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილების პარტორგანიზაციის მოუქნელი მუშაობა, აღნიშნა ამ ორგანიზაციისადმი პარტიის რაიკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

— ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პროკურატურის ორგანოები, — განაცხადა ქალაქის პროკურორმა ამხ. მ. ვეფხვაძემ, — ჯერ კიდევ ვერ აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. არეს უხარისხო გამოძიების ფაქტები. ამხ. ვეფხვაძემ გააკრიტიკა კიროვის რაიონის პროკურატურის (პროკურორი ი. ჩადუნელი) მუშაობა, კერძოდ, აღნიშნა, რომ, როგორც წესი, ამ პროკურატურის მუშაკები სახალხო სასამართლოებს გასარჩევ საქმეებს თვის მხოლოდ 20-25 რიცხვებში უგზავნიან.

26 კომისრის რაიონის მილიციის განყოფილების უბნის რწმუნებულმა ა. მაქსიმოვიჩმა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს უსაყვედურა ფორმალიზმისათვის მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეში. მილიციის დამხმარე ბრიგადები, — თქვა მან, — გამოყოფილია ფორმალურად, ისინი ნაკლებად გვეხმარებიან და ამისათვის არც არავინ სთხოვს მათ პასუხს,

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გ. შეწირული (ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე), ს. ბელიავსკაია (რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე), შ. იამანიძე (ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსი) და სხვები.

კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისში სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

წლიური გეგმა შეასრულეს

ბოლნისი. (სპეც. კორ.). თამარისის მტს-ის (დირექტორი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. ურუშაძე) ზონის კოლმეურნეობებმა წელს ნაყოფიერად იმუშავეს მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მისაღწევად. წველადობის წლიური გეგმა 11 თვეში გადაჭარბებით გაანაღდეს. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველეს 865 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 837 ლიტრისა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ არახლოს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ჯ. ოსმანოვი). აქ ყოველ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.300 ლიტრი რძე, წლიურ გეგმას 300 ლიტრით გადააჭარბეს. ასევე კარგად იმუშავეს სოფელ ქოშაქილისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ა. მამედოვი).

ამჟამად მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან მექანიზატორები. მიმდინარეობს სასილოსე მასის აღება. ეს სამუშაო რაიონში პირველმა დაიწყო სოფელ არახლოს კოლმეურნეობამ. აქ კომბაინერი გახრამან გაბრამოვი და მისი ძმა მეშტურვალე ქარიმ გაბრამოვი ყოველდღე სასილოსე მასად იღებენ 13-14 ჰექტარ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 ჰექტარისა. სულ მტს-ის ზონის კოლმეურნეობები წელს დაასილოსებენ 5.400 ტონას. ეს შარშანდელთან შედარებით 400 ტონით მეტია.

მოწინავე მეცხოველე

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). კოლმეურნეთა პატივისცემით სარგებლობს ნაგვაზაოელი მეცხოველე ნოდარ ჯღარკავა. მან სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მისთვის მოსავლელად მიჩენილი 14 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 1.720 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა.

მოწინავე კოლმეურნე იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით დაიწყოს ახალი წელი მეცხოველეობაში, მოაწყოს პირუტყვის საუკეთესო გამოზამთრება.

კირი გეგმის გადამეტებით

სურამი. (საკ. კორ.). წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც განვლილ ცხრა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, ხოლო კირის გამოშვებისა — 100,6 პროცენტით.

კირის ქარხნის კოლექტივი ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოძმე ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ცესისის საშენ მასალათა ქარხანასთან და იკისრა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 300 ტონა კირი და 200 ათასი ცალი სილა-ცემენტის კრამიტი, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 8 პროცენტით და აითვისოს ვიბრობლოკების წარმოება.

მეგობგროგის წერილები

ბათუმში — ზღვისპირას, ცენტრალურ ქუჩებში, ქალაქგარეთ არაერთი პიონერი შეგხვდებათ, რომლებსაც ლამაზი ასოებით ყელსახვევზე ამოქარგული აქვთ სიტყვა „იგლავა“ — ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის სახელი. სამაგიეროდ აქ — შორეულ იგლავაში, — მრავალი პიონერის ყელსახვევს ამშვენებს მზრუნველი ხელით ნაქარგი სიტყვა „ბათუმი“.

იგლავაში იცნობენ ბათუმელ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, იციან მათი წარმატებები, მათი სურვილები. სამაგიეროდ ბათუმში ხშირად ლაპარაკობენ იგლავაზე, იგლაველ მოსწავლეთა მიღწევებზე. საქართველოში ჩამოსულ ჩეხოსლოვაკელ ტურისტებს თუ ექსკურსანტებს თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნიათ ჩავიდნენ ბათუმში, ინახულონ ბათუმის მეთხუთმეტე საშუალო სკოლა, ასევე ინახულებს ქართველი ტურისტი იგლავის პირველ საშუალო სკოლას, როცა ის ჩეხოსლოვაკიაში მოხვდება.

ორი სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ეს მეგობრობა ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებმა იმით გამოხატეს, რომ იგლავის პირველ საშუალო სკოლას ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელი ეწოდა, ხოლო ბათუმის მეთხუთმეტე საშუალო სკოლას — ჩეხოსლოვაკი ხალხის სახელოვანი შვილის იულიუს ფუჩიკისა.

ორი ქალაქის, ორი სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ამ მეკავშირეობა, ტრადიციულ მეგობრობას საინტერესო ისტორია აქვს.

1945 წლის გაზაფხული... საბჭოთა მეომრებმა გმირულად დაამარცხეს პიტლერელი დამპყრობლები, დაჭრილ ფაშისტურ ურჩხულს საზღვრის გადაღმა სდევდნენ, მისი ტირანიისაგან ათავისუფლებდნენ ჩეხოსლოვაკიის სოფლებსა და ქალაქებს. ჩეხოსლოვაკიის განმათავისუფლებელ საბჭოთა მეომრებს შორის იმყოფებოდა კომუნისტი, სახალხო მასწავლებელი მეჩესლავ სტოდოლნიკი; მან, როგორც მებრძოლმა, ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ქედმოუხრელად ფრონტზე მყოფმა, თავის თანამოიარაღეებთან ერთად განვლო რთული, მაგრამ სახელოვანი საბრძოლო გზა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრუებინამდე. ამ არც ისე დიდ ქალაქში, მისი განთავისუფლების მეორე დღესვე შეიკრიბა მასწავლებელთა საოლქო კონფერენცია. მიესალმებოდნენ რა განმათავისუფლებელ საბჭოთა არმიას, მასწავლებლები განიხილავდნენ ახალი, სახალხო-დემოკრატიული სკოლის მშენებლობის საკითხებს. კონფერენციაზე მიიწვიეს საბჭოთა ოფიცერი და პედაგოგი სტოდოლნიკი. ტრიბუნაზე მყოფი სტოდოლნიკი საბჭოთა არმიისა და ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობის სახელით გულთბილად მიესალმა ჩეხოსლოვაკელ კოლეგებს, რამაც მათი უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ჩეხოსლოვაკელები გარს შემოეხვივნენ საბჭოთა მასწავლებელს, მრავალი შეკითხვა მისცეს მას. ამ გასაუბრების დროს სტოდოლნიკმა სულიერი სიახლოვე იგრძნო შორეულ თანამამძღვებთან, გაიცნო მრავალი მათგანი. გაცნობილთა შორის იყო ჩეხოსლოვაკი პედაგოგი ბოგუმილ ბეზდეკოვსკი. მათ გაცვალეს მისამართები და ერთმანეთს დაპირდნენ წერილების გზავნას.

მეჩესლავ სტოდოლნიკი დაბრუნდა ბათუმში, შუბლიერ სკოლაში, კვლავ დაიწყო მუშაობა ისტორიის მასწავლებლად, თანაც არეულად იქნა სკოლის პარტორგანიზაციის მდივნად, ხოლო ბოგუმილ ბეზდეკოვსკი დაინიშნა ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ქალაქის იგლავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად. ორ მასწავლებელს შორის ნაცნობობა და მიმოწერა გრძელდებოდა. 1953 წლის შემოდგომაზე, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პირველი ერთთვიურის დღეებში სტოდოლნიკი ბეზდეკოვსკის წერდა: „ძვირფასო ამხანაგო! გთხოვთ დაეხმაროთ ჩვენს პიონერებს. მათ ძალიან უნდათ თქვენთან და თქვენი სკოლის პიონერებთან გამართონ მიმოწერა...“ მალე იგლავიდან მოვიდა წერილი, რომელსაც ასი მოსწავლე აწერდა ხელს. „ძვირფასო ბათუმელო მეგობრებო! — წერდნენ ისინი, — ჩვენ, იგლავის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ძალიან გვაინტერესებს თქვენი ქალაქი, მისი ისტორია, თქვენი სასკოლო ცხოვრება, პიონერული მუშაობა. მოგვწერეთ ყველაფერ ამაზე. დე ეს წერილი იყოს ჩვენი მეგობრობის დასაწყისი, გვიგულეთ მუდმივ მეგობრად!“

ჩეხოსლოვაკელ მოსწავლეთა ამ სტრიქონებს დიდი სიხარულით შეხვდნენ ბათუმის მეთხუთმეტე საშუალო სკოლაში. წერილს კითხულობდნენ კლასებსა და მოსწავლეთა საერთო კრებებზე. მალე ნორჩ იგლაველებს მრავალი კორესპონდენტი გაუჩნდა. ბათუმიდან იგლავაში წავიდა წერილების პირველი ნაკადი, გზავნიდნენ ამანათებს: წიგნებს, ფოტოალბომებს, რომლებიც მოუთხრობდნენ ქალაქის ისტორიას, მის რევოლუციურ წარსულს.

ამჟამად ბათუმიდან იგლავაში მიმოწერას აწარმოებს ორასზე მეტი მოსწავლე და მასწავლებელი. მათ არც იგლაველები ჩამორჩენიან. პიტია დუვეკმა ნატაშა ოგანესოვას გამოუგზავნა შესანიშნავი თოჯინა, რომელს აც ეროვნული კოსტიუმი აცვია, სხვა ჩეხი მოსწავლეები ბათუმელ მეგობრებს უგზავნიან ღია ბარათებს მშობლიური ქალაქის ხედებით, წიგნებს, თავიანთ ნახატებს და ნაკეთობებს, პიონერულ ყელსახვევებს და სურათებს. „მიიღეთ ესენი,—წერენ მოსწავლეები,— როგორც თქვენდამი ჩვენი სიყვარულის გამოხატულება“.



ორივე სკოლა სწრაფად ეხმაურება მეგობართა თხოვნას და სურვილებს. „ჩვენი პიონერები იწოდებიან ახალგაზრდა ეროშილოველებად, — წერდნენ იგლაველები, — ძალიან მოხარული ვიქნებოდით, თუ კი გამოგვგზავნიდით ალბომს კლიმენტ ეფრემის-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“. ასეთი ალბომი დაუგვიანებლად გაიგზავნა ბათუმიდან.

მოსწავლეები ერთმანეთს აუწყებენ თავიანთ წარმატებებს. მეცხრე კლასის მოსწავლემ მერი ქუთათელაძემ იგლავიდან თანაკლასელ ზდენკა ბენეშისაგან მიიღო აკადემიური წარმატების მოწმობა. მერი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბენეშს გაცილებით უკეთესი ნიშნები ჰქონდა, ვიდრე მას. „რადაც უნდა დამიჯდეს დავეწევი ამხანაგს“, — მტკიცედ გადაწყვიტა მერიმ და ამ გადაწყვეტილების სწრაფად განხორციელებაში მას მოსწავლეთა კოლექტივი დაეხმარა. მერვე კლასის მოსწავლე ეანა ხომუტოვა აშკარად აღიარებს, რომ მან განგებ დაუგვიანა ჩეხოსლოვაკელ თანაკლასელს ვერა ზემანოვას აკადემიური წარმატების მოწმობის გაგზავნა, სანამ მასავით წარჩინებული არ გახდა.

ერთ-ერთ წერილში ჩეხოსლოვაკელი ბავშვები იტყობინებოდნენ, თუ რა გატაცებით სწავლობენ ისინი რუსულ ენას. მერე მათ გამოგზავნეს ჩეხური ანბანი. „ჩვენ ძლიერ მოხარული ვიქნებოდით, — აცხადებდნენ ისინი, — რომ თქვენს წერილებზე მისამართები „ვაიერრეს ჩეინ“ — ფრანგულ ენაზე“. ამჟამად ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია) იგლავაში, ბელგრადში, ბულგარეთში, ინგლისურ ენაზე აწერენ სტატიებს. ბელგრადელ ბავშვებს ბულგარული ენის შემსწავლელი წრე.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულია იგლაველი მეგობრების საჩუქრებისა და ფოტოსურათების ვიტრინა. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დღეებში ეს ვიტრინა გამოფენილი იყო ქალაქის ცენტრში სტალინის ქუჩაზე. ბათუმის მცხოვრებლები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ამ ვიტრინას. ამავე დღეებში ქალაქ იგლავის ცენტრში გახსნილი იყო ბათუმელი მეგობრების საჩუქრების გამოფენა.

მიმოწერა წარმოებს არა მარტო ცალკეულ მოსწავლეებს შორის, არამედ პიონერთა რაზმსა, რაზმეულის საბჭოსა და კომკავშირის კომიტეტს შორის. მასწავლებლები კი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ პედაგოგიურ გამოცდილებას. იგლაველმა მასწავლებლებმა სთხოვეს ბათუმელებს გაუზიარონ მათ რუსული ლიტერატურის სწავლების გამოცდილება. მათ აინტერესებდათ, პუშკინის რომელი ნაწარმოებები ისწავლება სკოლაში, როგორია მათი შესწავლის მეთოდიკა, როგორ არის ორგანიზებული მოსწავლეთა საშინაო კითხვა. პასუხად იგლაველებმა მიიღეს გაკვეთილების გეგმა და მეთოდური მითითებანი, მოსწავლეთა რვეულები, სასკოლო წრეების გეგმები.

ბათუმელი მასწავლებლები სტოდოლნიკი ისტორიის გაკვეთილზე, ბრაგინსკი გეოგრაფიის გაკვეთილზე ფართოდ იყენებენ იგლავიდან გამოგზავნილ გრავიურებს, ნახატებს, დიაგრამებს, მაკეტებს, რომლებიც ცხადად მეტყველებენ ჩეხოსლოვაკიის წარსულსა და აწყოზე, იმაზე, თუ როგორი აღმავლობით ვითარდება ამ ქვეყანაში სახალხო მეურნეობა და კულტურა.

მიმოწერა გაჩაღდა შუბლიანა შორისაც. იგლაველი მოსწავლის ივანე პორტის დედა კომკავშირელ გალინა მარაბოვსკის შუბლებს სწერს: „ბავშვებს შორის წერილებისა და საჩუქრების გაცვლა უთუოდ შესანიშნავი აზრია. როცა ჩემმა შვილმა ბათუმიდან მიღებული საჩუქარი მიჩვენა, მე ავღელდი. რა კარგი იქნებოდა ქვეყანაზე ცხოვრება, ადამიანები ომზე რომ არ ფიქრობდნენ, რომ ისინი მეგობრობდნენ და ერთმანეთს უგზავნიდნენ გულითად, გულწრფელ წერილებს. მაშ მაგრად ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ომის გაჩაღებას შეეცდება“.

სიტყვა შუბლიანაზე, ხალხთა მეგობრობაზე გულწრფელად ეღერს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და შუბლელთა წერილებში. ამ წერილებში გამოხატულია საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი ხალხის სურვილები და მისწრაფებები. ეს მისწრაფებები შესანიშნავად არის გამოთქმული ბათუმის მოსწავლეების წერილში, როცა მათ ჩეხოსლოვაკელ თანამამძღვებს საჩუქრად გაუგზავნეს საქართველოს დროშა. „დროშების გაცვლის ფაქტი, — წერდნენ ბათუმელები, — ეს არის საბჭოთა და ჩეხოსლოვაკი ხალხების ურღვევი მეგობრობის ნიშანი. დე მუდამ ცოცხლობდეს ჩვენი მეგობრობა! ხოლო მეგობრობა — ეს არის შვიდობა“.

დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი მოსწავლეების მეგობრობა. ამჟამად ბათუმში წერილებს იღებენ პრაღის, კლადნოს, სტარკოვისა და კინეშპერკის მოსწავლეებისაგან. სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკიაში ყოველთვიურად ასობით წერილებს იღებენ როგორც ბათუმიდან, ისე საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქიდან და სოფლიდან. ბათუმისა და იგლავის საშუალო სკოლები, რომელთა დირექტორები არიან გამოცდილი პედაგოგები აკაკი სიხარულიძე და ბოგუმილ ბეზდეკოვსკი, დიდ და საჭირო საქმეს აკეთებენ. ეს სკოლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინტერნაციონალურ აღზრდას, თავიანთი წვლილი შეაქვთ ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ე. უგილავა,
დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის იგლავის საშუალო სკოლიდან მიღებულ მორიგ საჩუქრებს ათვალიერებენ ბათუმისა და იგლავის სკოლების მეგობრობის ინიციატორი, ბათუმის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. სტოდოლნიკი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ე. ვასილევსკაია და მოსწავლეები. ქვემოთ — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის იგლავის საშუალო სკოლის შენობა.

ახალი ხუთწლედის მშენებლებზე

სიონთან, ივრის ხეობაში

საბადურის დაბურულ ტყეებს თავს რომ დაალწევთ და ივრის ლამაზ ხეობას გახედავთ, ფერდობზე კარგა მოზრდილ დასახლებულ პუნქტს შეამჩნევთ. ეს არის ახალი დაბა, რომელსაც აქვს თანამედროვე ქალაქის კომუნალური მეურნეობა — სახლები, კლუბი, რადიოკვანძი, საავადმყოფო, პურის საცხობი, სასადილო, აბანო, სამავშვო ბაგა, რუსული და ქართული სკოლები, კინოთეატრი...

— ქალაქი ივრის ხეობაში — ასე უწოდებენ მას. ივრის ხეობაში ქალაქის გაჩენაწინ უძღვის სამგორის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობას.

„სიონმშენის“ სამმართველოს უფროსმა გიორგი მაევსკიმ ამის შესახებ შემდეგი გვიამბო:

— სამგორის ზემომგისტრალურ არხში ამჟამად წყლის დებიტი წამში მხოლოდ 2-3 კუბმეტრს აღწევს, მისი სრული დატვირთვისათვის კი საჭიროა წამში 13 კუბმეტრი წყალი მაინც... როგორც ცნობილია, ივრის დებიტი დიდია თოვლის დნობისა და წვიმების დროს, სამაგიეროდ მდინარე ძალიან იკლებს ზაფხულობით და მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს სარწყავი ქსელი.

ამისათვის საჭირო გახდა წყალსაცავის აგება, რომელიც შენდება მდინარე იორზე, სოფელ სიონის ახლოს. წყალსაცავის ასაგებად დამპროექტებლებმა ეს ადგილი რომ აირჩიეს, გონივრულად მოიქცნენ. აქ მთებს თვითონ შეუქმნიათ ბუნებრივი საგუბარი, სიონს ზემოთ ისინი ერთმანეთს საკმაო მანძილით არიან დაშორებული, მაგრამ ქვემოთ თითქოს ერთმანეთთან შეხვედრა სურთო, დაახლოებულან და მანძილი მათ შორის მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრია. როგორც ხედავთ, სწორედ ამ ვიწროებში ვაშენებთ მიწის კაშხალს. აქედან წყალი საჭიროების მიხედვით დაეშვება სამგორისაკენ...

* * *

დიდი საქმე ელით მშენებლებს. მათ უნდა შეასრულონ 10 მილიონი კუბმეტრი მიწისა და 150 ათასი კუბმეტრი რკინაბეტონის სამუშაო. მართო მიმდინარე წლის 8 თვეში მშენებლებმა მომავალი კაშხალის ადგილას დაყარეს 221 ათასზე მეტი კუბმეტრი მიწა, ჩააწყეს 4 ათასზე მეტი კუბმეტრი ბეტონი.

ყოველი დიდი მშენებლობა სამხედრო ოპერაციას ჰგავს. ისე, როგორც ჯარის ნაწილებს უკომუნიკაციოდ ბრძოლა არ შეუძლიათ, ასევე მშენებლებს წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების შეუსრულებლად სამუშაო ფრონტის გაშლა არ ძალუძთ.

„სიონმშენს“ უკვე აქვს საკუთარი კომუნიკაცია — საავტომობილო გზა, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, პირდაპირი სატელეფონო კავშირი თბილისთან. მშენებლობის რაიონში მოწყობილია საღურგლო, მექანიკური და ავტოსახელოსნოები, აგებულია აგურის ქარხანა, მზად არის ბეტონის მექანიზებული ქარხანა.

მძლავრია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის მაჯისცემა. ყველა შრომის ფერხულშია ჩაბმული, შემოდგომის ამ დღეებში უფრო ძლიერად გაისმის მრავალნაირი მანქანების გუგუნი. ხმაურია არა მარტო ზევით, არამედ მიწის ქვეშაც. გვირაბგამყვანები ივანე კობერიძე, გიორგი ბუჯიაშვილი, გიორგი ცანდიშვილი, კუზმა ჯეირანოვი, პეტრე დემიდოვი და სხვები, რომლებიც დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, შეუპოვრად ებრძვიან კლდეთა სიჯიუტეს, უკვე მზად არის წყლის გადამგდები და ირიგაციული გვირაბები, მიმდინარეობს ენერგეტიკული გვირაბის გაყვანა.

საბჭოთა ადამიანის შრომა ყოველივე ძვირფასისა და მშვენიერის შემოქმედია. სიხარულითა და შთაგონებით აღსავსე შრომა ალამაზებს და სახეს უცვლის არა მარტო გარემოს, არამედ თვით ადამიანსაც. „სიონმშენში“ მრავალი ისეთი ადამიანი მუშაობს, რომელთა ცხოვრება ჭეშმარიტად სამაგალითოა.

მართლაც რომ ნიჭიერი, თავისი საქმის მოყვარული ადამიანები ცხოვრობენ ახალ ქალაქში. აი თუ გნებავთ ცნობილი მემონტაჟე ვალერიან სონინძე, ელექტროშემდუღებელი მუსაილ კელასოვი, მიწამომთხრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი ილია ლეონოვი, ტრაქტორისტი ალექსი წიკლაური, ბეტონის ქარხნის მეშტურვალე ეთერ ზარიძე, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნის ოქროს ფონდს წარმოადგენენ.

„სიონმშენს“ ჰყავს სამშენებლო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორები. დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მშენებლობის მთავარი ინჟინერი ლ. თავართქილაძე, სამუშაოთა მწარმოებლები გ. იგნატოვი, გ. ბასილია, ჯ. სირბილაძე, ვ. ჯეირანოვი, ვ. ხიზანიშვილი, უბნის უფროსი ს. ხუციანი, ბეტონის სამუშაოთა უფროსი ოსტატი ლ. ბექაური და სხვები.

რიგითი მუშიდან დაწყებული მშენებლობის მეთაურამდე ყველა გატაცებულია ერთი აზრით — აშენონ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად. მიმდინარე წლის მარტო 8 თვეში კაშხალის ღერძის მშენებლობაზე რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებით დაზოგილია 200 ათასი მანეთი. ივლისთან შედარებით თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება აგვისტოში გაიზარდა 16 პროცენტით. დიდად შემცირდა ჩატარებულ სამუშაოთა თვითღირებულება.

სიონის წყალსაცავის აგება მომდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს. მშენებლებს გაღაწყვეტილი აქვთ წელს გადაჭარბებით შეასრულონ ყველა სამუშაო და გულდასმით მოემზადონ მომავლისათვის, რადგან 1957 წელს კიდევ უფრო გაიზრდება სამუშაოთა მოცულობა და ტემპი.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ადგილის ნაპირას, სადაც ახლა მშენებელთა ქალაქია, წარმოიშობა სიონის ცისფერი ზღვა, რომელიც წყლის ტევადობით თბილისის ზღვას არ ჩამოუვარდება. ჰიდროტექნიკური ნაგებობას ერთი თავისებურება აქვს. მის სიდიადეს ყველაზე უფრო თვით მშენებ

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს გაიმართა უშიშროების საბჭოს ღია სხდომა სუეცის საკითხის შესახებ. უფრო ადრე გამოცხადდა, რომ დახურულ სხდომებზე ეგვიპტის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის აზრთა გაზიარებისა და სუეცის საკითხის განხილვის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგი ექვსი პრინციპის შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სუეცის საკითხის ყოველი გადაჭრა:

1. არხში მიმოსვლა თავისუფალი და ღია უნდა იყოს აშკარა თუ ფარული დისკრიმინაციის გაუწევლად. — ეს მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე ტექნიკურ ასპექტებს.

2. ეგვიპტის სუვერენიტეტს პატივი უნდა სცენ.

3. არხის ექსპლოატაცია არ უნდა ექვემდებარებოდეს რომელიმე ქვეყნის პოლიტიკას.

4. გამოსაღებისა და ბაჟის დადგენის წესი უნდა განისაზღვრებოდეს შეთანხმებით ეგვიპტესა და არხით მოსარგებლეთა შორის.

5. გადახდევინებული თანხების სამართლიანი წილი განკუთვნილი უნდა იყოს განვითარების მიზნებისათვის.

6. დავის შემთხვევაში სუეცის არხის კომპანიასა და ეგვიპტის მთავრობას შორის გადაუჭრელი საქმე უნდა გადაჭრას საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელსაც მინიჭებული ექნება სათანადო კომპეტენცია ჯეროვან დადგენილებათა არსებობისას იმ თანხების გადახდის შესახებ, რომლებიც შეიძენა მისაღები იქნას.

საფიქრებელი იყო, რომ ამ პრინციპებზე დათანხმება იმას ნიშნავს, რომ ინგლისი და საფრანგეთი უარს ამბობენ თავიანთ წინანდელ რეზოლუციაზე და ცდებზე — თავს მოახვევინ ეგვიპტეს „საერთაშორისო კონტროლი“ სუეცის არხისადმი.

მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა გამოსვლამ უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ცხადყო, რომ ეს ასე არ არის.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ლოიდმა, რომელმაც პირველმა ილაპარაკა სხდომაზე, ინგლისისა და საფრანგეთის სახელით რეზოლუციის ახალი პროექტი შეიტანა. ეს პროექტი, გარდა ზემოჩამოთვლილი ექვსი პრინციპისა, შეიცავს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებიც არსებითად ინგლის-საფრანგეთის წინანდელი პროექტის გამეორებაა და სავსებით ეწინააღმდეგება შეთანხმებულ პრინციპებს, კერძოდ, ეგვიპტის სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს.

დაუჭირი რა მხარი რეზოლუციის ახალ პროექტს, ლოიდმა განაცხადა, რომ თუმცა ინგლისი და საფრანგეთი დაჟინებით არ მოითხოვენ, რომ კენჭი ეყაროს რეზოლუციის მათს წინანდელ პროექტს, მაგრამ ამ პროექტზე ხელს არ იღებენ. როგორც მან თქვა, წინანდელი პროექტი (რომელიც სუეცის არხის ნაციონალიზაციის დაგმობას შეიცავს) კვლავ ასახავს მათს პოზიციებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პინომაც დაუჭირა მხარი „18 ქვეყნის“ წინადადებებს, რომლებიც ეგვიპტემ უარყო.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ფაჯზიმ განაცხადა, რომ ექვსი პუნქტის შესახებ მიღწეული შეთანხმება საერთოდ მისაღებია ეგვიპტის თავვრობისათვის.

ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტის მეორე ნაწილი კი ვერ შეუწყობს ხელს საკითხის გადაჭრას, თქვა ფაჯზიმ.

მ. ფაჯზიმ იმედი გამოთქვა, რომ უშიშროების საბჭო არ მოიწონებს ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტის მეორე ნაწილს.

ირანის წარმომადგენელმა დ. აბდოხმა მოუწოდა საბჭოს თავი აარიდოს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ხელს შეუშლიდა მომავალი მოლაპარაკების წარმატებას. მან რამდენიმე უმნიშვნელო შესწორება შეიტანა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის ახალი პროექტის ტექსტში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა. უშიშროების საბჭო, თქვა მან, ეჯიმეს სუეცის საკითხის განხილვის პირველი ფაზის შედეგებს. ეს შედეგები მეტად საგულისხმოა. ჩვენ მუშაობა დავიწყეთ საკმაოდ მღელვარე ვითარებაში— ისეთ პირობებში, როცა სუეცის საკითხის სწორი გადაჭრის გზაზე კი არ ისპობოდა, არამედ ხელოვნურად იქმნებოდა ყოველგვარი სიძნელენი და დაბრკოლებანი.

დღეს ეს სიძნელენი და დაბრკოლებანი კიდევ არ არის აღმოფხვრილი, მაგრამ მიინც დაისახა ვითარების გაუმჯობესების ტენდენცია. სუეცის რთულ პრობლემაში მოლაპარაკების მეთოდის გამოყენების პირველმა ცდამ არა მარტო გაამართლა თავისი დანიშნულება, არამედ ყოველ ჩვენგანს აძლევს საფუძველს იმედი ვიქონიოთ, რომ შესაძლებელი იქნება გამონახოს შეთანხმებული და სამართლიანი გადაწყვეტა.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, — განაგრძო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, — რომ შეერთებული სამეფოს, საფრანგეთისა და ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის აზრთა გაზიარების შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ ჰამარშელდის აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობით შესაძლებელი გახდა შეგვეთანხმებინა ზოგიერთი საერთო პრინციპი, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა შემუშავდეს სუეცის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კონკრეტული მეთოდები და შესაბამისი მექანიზმი.

დ. ტ. შეპილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სუეცის საკითხის მოწესრიგების საერთო პრინციპების შესახებ მიღწეულ შეთანხმებას.

მე არ მეეჭვება, თქვა დ. ტ. შეპილოვმა, რომ ჩვენს განსახილველად წარმოდგენილ რეზოლუციის პირველ ნაწილს, რომელშიც ფორმულირებულია ეს საერთო პრინციპები, ერთსულოვნად მოიწონებს უშიშროების საბჭო.

რა თქმა უნდა, გაუბრალოება იქნება იმის თქმა, რომ ახლა უკვე დაძლეულია სიძნელეები შეთანხმების გზაზე. სიძნელე, როგორც ჩანს, კიდევ ბევრი იქნება, მაგრამ რეზოლუციის პირველმა ნაწილმა საფუძველი ჩაუყარა კარგ დასაწყისს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღირსების საქმეა განმტკიცოს პირველი წარმატება და უზრუნველყოს მოლაპარაკების შემდგომი ნაყოფიერი განვითარება.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ წინასწარი მოლაპარაკების პროცესში გამოირკვა სუეცის პრობლემის შეთანხმებული გადაჭრის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარები. ახლა აღარ შეიძლება, როგორც ეს ამას წინათ ხდებოდა, იმის მტკიცება, რომ თითქოს ეგვიპტეს არ სურდეს ხელი შეუწყოს საკითხის კონსტრუქციულ გადაჭრას. სამართლიანობა გვავალებს ვღიაროთ, რომ ეგვიპტე კეთილ ნებას იჩენს იმისადმი, რომ ბოლო მოუღოს შექმნილ დაძაბულობას და მოაწესრიგოს სუეცის საკითხი.

...საქმე მარტო საერთო პრინციპების ფორმულირება როდია. ეგვიპტე პრაქტიკაში რეალურად უზრუნველყოფს სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლებას 1888 წლის კონვენციის შესაბამისად.

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ოპტიმიზმისათვის, იმ იმედისათვის, რომ წარმატებით დამთავრდება მოლაპარაკება სუეცის საკითხზე, გაიმარჯვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები.

რეზოლუციის პირველი ნაწილი, განაცხადა დ. ტ. შეპილოვმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ექვსი პრინციპი, მოლაპარაკების მეთოდის გამოყენების ნაყოფიერი შედეგია. ეს არის გონივრული კომპრომისის დოკუმენტი, რომლის მიზანია გააადვილოს შეთანხმება სუეცის საკითხის შესახებ, საერთო პლატფორმაზე გაერთიანოს უშიშროების საბჭო. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს რეზოლუციის ამ ნაწილს.

დ. ტ. შეპილოვმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის მეორე ნაწილს, რომელიც სრულიადაც არ გამომდინარეობს განვლილი მოლაპარაკების მსვლელობიდან და მუშაობიდან, რომელიც უშიშროების საბჭომ გასწია ამ დღეებში.

რეზოლუციის ამ ნაწილის მთავარი იდეა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ის არის, რომ შემდგომ მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედოს ეგრეთწოდებული „18 სახელმწიფოს პლატფორმა“. სავსებით ნათელია, რომ შეუძლებელია შევარიგოთ რეზოლუციის პირველი ნაწილი, სადაც ფორმულირებულია შეთანხმებული ექვსი პრინციპი, რომელებიც ამოსავალი უნდა იყოს შემდგომი მოლაპარაკებისათვის, რეზოლუციის მეორე ნაწილთან. რეზოლუციის ეს მეორე ნაწილი არათუ წინასწარი მოლაპარაკების შედეგი არ არის, არათუ არ გამოხატავს შეთანხმების ამა თუ იმ დონეს, არამედ, პირიქით, იგი სრულიად შეუცვლელად იმეორებს ფორმულებს, რომელთა გამო მხარეებს შორის ძირეული უთანხმოება გამოვლინდა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ახლა მოითხოვენ, რომ ეგვიპტისათვის დეკრეტის სახით დადგინდეს უშიშროების საბჭოს სახელით ეგრეთწოდებული „18 სახელმწიფოს პლატფორმა“, რომელიც საფუძვლად უდევს მენზისის მისიას.

დ. ტ. შეპილოვმა ცხადყო, რომ „18 სახელმწიფოს პლატფორმა“ ემყარება იმ პრინციპს, რომ ეგვიპტეს წაართვან მისი კუთვნილი უფლება — სუეცის არხის მართვის უფლება. ამით ეს პლატფორმა სპობს ეგვიპტის სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

ეს პლატფორმა სახავს ეგრეთწოდებულ „არხის ინტერნაციონალიზაციის“ გეგმას, ე. ი. არხის მართვის რაღაც საერთაშორისო ორგანოს შექმნას. ამით ფაქტიურად უქმდება ეგვიპტის მთავრობის კანონზომიერი აქტი სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ, რაც აგრეთვე შეუთავსებელია სუვერენიტეტის პრინციპთან. „18 სახელმწიფოს პლატფორმა“ სახავს „ეფექტიანი სანქციების“ ისეთ სისტემას, რომლის მახვილი წინასწარ მიმართულია ეგვიპტის წინააღმდეგ. მორალურად და იურიდიულად გამართლებული იქნება თუ არა, რომ უშიშროების საბჭო დაადგეს ისეთ გზას, რომ აიძულოს ეგვიპტე მიიღოს ეს დებულებანი, რომლებსაც ეგვიპტე არ ეთანხმება და რომლების მიმართ მან თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ უსაგნო გავხადოთ შემდგომი მოლაპარაკება, წინასწარ გადავწყვიტოთ მისი მომავალი შედეგი, წინასწარ დავადგინოთ, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად დაედოს ისეთი კონცეპცია, რომელიც აშკარად მიუღებელია ერთ-ერთი მხარისთვის.

ამიტომ, — თქვა დ. ტ. შეპილოვმა, — უშიშროების საბჭო ვერ მოიწონებს რეზოლუციის მეორე ნაწილს, რომელიც რეკომენდებულია ეგრეთწოდებული „18 სახელმწიფოს პლატფორმა“.

შეეხო რა ეგრეთწოდებულ „არხით მოსარგებლეთა ასოციაციას“, დ. ტ. შეპილოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს არ უარუყვია და არ უარყოფს იმ იდეას, რომ არხით მოსარგებლეებმა ორგანიზებულად გამოთქვან აზრი და სურვილები, აგრეთვე არ უარყოფს მათსა და არხის ეგვიპტის მმართველობას შორის კავშირის გარკვეულ ფორმებს.

მაგრამ „ასოციაცია“, რომელსაც რეზოლუციის პროექტი ისსენიებს, — არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს; კერძოდ, იგი შორს არის არხით ყველა მოსარგებლის ინტერესების წარმომადგენლობითი გამოხატვისგან და წარმოადგენს 1888 წლის კონვენციის დარღვევას.

განაცხადა რა დასასრულ, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დაუჭერს მხარს ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის მეორე ნაწილს, დ. ტ. შეპილოვმა თქვა: მთავარი მიზანი, რომლის მიღწევასაც საბჭოთა კავშირი ესწრაფვის, ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე მშვიდობა ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამართლიანად დადაჭრას სუეცის საკითხი. საბჭოთა მთავრობა მზად არის ყოველი ღონე იხმაროს სუეცის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ უშიშროების საბჭო აღმოჩნდება მის წინაშე მდგომი ამოცანის სიმაღლეზე და მიიღებს რეზოლუციას, რომელიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების კეთილშობილურ და სამართლიან პრინციპებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა, რომელმაც აიღო სიტყვა, მოიწონა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს სუეცის საკითხის მოწესრიგების პრინციპებს. დალესმა მთელი თავისი გამოსვლა მიუძღვნა პროექტის მეორე ნაწილის დაცვას, ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ იგი თითქოს არ შეიცავს რაიმეს, რაც ბღალვდეს ეგვიპტის სუვერენიტეტს, მან განაცხადა, რომ ხმას მისცემს ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს მთლიანად.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. პოპოვიჩმა განაცხადა, რომ იგი იწონებს შეთანხმებულ პრინციპებს, მაგრამ ხმას ვერ მისცემს რეზოლუციის ახალი პროექტის მეორე ნაწილს. შემდგომი მოლაპარაკების წარმატებისათვის საჭიროა, რომ რეზოლუცია მისაღები იყოს უშიშროების საბჭოს ყველა წევრისათვის, თქვა მან. ინგლის-საფრანგეთის პროექტი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

პოპოვიჩმა შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას ატმოსფერო, რომელიც ხელსაყრელია შემდგომი მოლაპარაკების წარმატებისათვის, და შეიტანა იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტი. ეს პროექტი ჩამოთვლის სუეცის საკითხის მოწესრიგების ზემოაღნიშნულ ექვს შეთანხმებულ პრინციპს, აგრეთვე შეიცავს რეკომენდაციას — გაგრძელდეს მოლაპარაკება და თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი — საჭიროების დროს ხელი შეუწყოს მოლაპარაკებას შემდგომ სტადიებზე. იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტი შეიცავდა აგრეთვე მოწოდებას „თავი შეიკავონ რაიმე ღონისძიებისაგან, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამ მოლაპარაკებას“. ბელგიის, ავსტრალიისა და პერუს წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ინგლის-საფრანგეთის პროექტს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, რომელიც მეორედ გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა გამოსული ერთსულოვნად დაეთანხმა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პირველ ნაწილს, რომელიც გონივრულ კომპრომისს წარმოადგენს. ინგლის-საფრანგეთის ახალი რეზოლუციის მეორე ნაწილი, თქვა მან, არ არის წარმოებული მოლაპარაკების შედეგი. რეზოლუციის ამ ნაწილის ეგვიპტემ, საბჭოთა კავშირმა და იუგოსლავიამ მხარი არ დაუჭირეს და სერიოზულად გაღალშერეს მის წინააღმდეგ. დ. ტ. შეპილოვმა სიტვა გახადა რეზოლუციის მეორე ნაწილის კენჭისყრის მიზანშეწონილობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უშიშროების საბჭომ ცხადყოს ერთსულოვნება რეზოლუციის პირველი ნაწილის მიღებით.

დ. ტ. შეპილოვმა მხარი დაუჭირა იუგოსლავიის რეზოლუციის პროექტს. შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს. რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომელიც შეთანხმებულ პრინციპებს შეიცავს, სხდომამ ერთხმად მიიღო. რეზოლუციის პროექტის მეორე ნაწილს ხმა მისცა საბჭოს 9 წევრმა. სსრ კავშირმა და იუგოსლავიამ წინააღმდეგ მისცეს ხმა. რამდენადაც მეორე ნაწილის მისაღებად საჭიროა ყველა მუდმივი წევრის ერთხმივობა, რეზოლუციის ეს ნაწილი ამრიგად უარყოფილ იქნა.

იუგოსლავიის წარმომადგენელს არ მოუთხოვნია კენჭი ეყაროთ მისი რეზოლუციის პროექტისათვის, — რამდენადაც თქვა მან, — ეს პროექტი თითქმის მთლიანად ემთხვევა უკვე მიღებულ რეზოლუციას.

ამით დამთავრდა სუეცის საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ნიუ-იორკიდან გამოემგზავრა

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ნიუ-იორკიდან სამშობლოში გაფრინდა. აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვი გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინმა, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევმა, პოლონეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ე. მიხალოვსკიმ, ბულგარეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. ვუტოვმა და სხვა პირებმა.

პრესის წარმომადგენელთა თხოვნით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაფრენის წინ გააკეთა შემდეგი განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომებზე ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგებზე:

სუეცის საკითხის ახლანდელმა განვითარებამ ცხადყო ძალის პოზიციის პოლიტიკის უსაფუძვლობა. ცხოვრების მჭევრმეტყველური ფაქტები გვარწმუნებენ, რომ ჩვენს დროში ყოველი საერთაშორისო დავა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ მოლაპარაკების მეთოდის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით სწორია. როცა საქმე ეხება საკითხებს, რომლებიც ეხება ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის და მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრობლემებს. ამ მხრივ ძალიან საგულისხმოა უშიშროების საბჭოს მუშაობის შედეგები. იმდენად, რამდენადაც უშიშროების საბჭომ ასახა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებანი ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომებზე, მან სერიოზული წვლილი შეიტანა სუეცის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში. როგორც ცნობილია, საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც მოლაპარაკების ამ ნაწილს ასახავს, მიღებულია ერთსულოვნად.

მსურს გამოვთქვა იმედი, რომ მოლაპარაკების მეთოდის საფუძველზე ყველა დაინტერესებული მხარის სრული თანაშეწყობიერებისა-ობისას სუეცის საკითხი ბოლომდე გადაიჭრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი პრინციპების შესაბამისად, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა შორის საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჯოუ ენ-ლაის საუბარი დავიდ მარშალთან

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ ამ დღეებში მიიღო პარტია „ლეიბორისტული ფრონტის“ თავმჯდომარე, სინგაპურის ყოფილი მთავარი მინისტრი დავიდ მარშალი, რომელიც ჩინეთში ჩამოვიდა ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სახალხო საზოგადოების მოწვევით. მათ შორის გაიმართა საუბარი.

დავიდ მარშალმა, როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, მადლობა გადაიხადა, კერძოდ, მისადმი გაწეული სტუმართმოყვარეობისა და იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცა ეწვიოს ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებს. მარშალმა აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე მოახდინა ჩინელი ხალხის ერთიანობამ და ჩინეთის სამრეწველო განვითარების სწრაფმა ტემპებმა.

შეეხო რა სინგაპურის შიერ დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხს, მარშალმა განაცხადა, რომ უახლოეს დროში ამ საკითხზე მოლაპარაკება გაგრძელდება ლონდონში და რომ ვითარება ხელსაყრელია. ჯოუ ენ-ლაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინელი ხალხი სულით და გულით თანაუგრძნობს სინგაპურის მოსახლეობას დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებაში.

სინხუას სააგენტოს ცნობით, საუბრის მსვლელობაში შეეხნენ აგრეთვე სინგაპურში მცხოვრებ ჩინელთა მოქალაქეობის საკითხს. პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ ჩამოაყალიბა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე და ამასთან აღნიშნა, რომ ჩინეთის მთავრობა მზად არის ოფიციალური ფორმით დაადასტუროს თავისი პოზიცია ამ საკითხში მას შემდეგ, რაც სინგაპური დამოუკიდებლობას მოიპოვებს.

დამთავრდა ინგლისის კონსერვატიული პარტიის კონფერენცია

ლანდონი, 13 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ დამთავრდა ინგლისის კონსერვატიული პარტიის ყოველწლიური კონფერენცია. უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ სასწრაფო წესით განიხილა მთელი რიგი რეზოლუციები სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. კერძოდ, კონფერენციამ აზრი გამოთქვა უცხოეთში ინგლისური რადიოპროპაგანდის გაფართოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში „ზედმეტობის“ ლიკვიდაციის სასარგებლოდ.

როგორც ინგლისური პრესის კომენტარებში აღნიშნავდნენ, ამ კონფერენციაზე გამოსვლების მეტი წაწილი და მისი ბევრი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ინგლისის კაპიტალისტური წრეების ინტერესებით. ორატორები მოითხოვდნენ „გადამწყვეტ ღონისძიებებს“ ინგლისის პროფკავშირთა წინააღმდეგ, მეწარმეებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებას, ბინის ქირის შეზღუდვის გაუქმებას და სხვ.

საგარეო პოლიტიკის დარგში კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სუეცის საკითხს. კონფერენციის დელეგატთა სიტყვების უმრავლესობა ამ თემაზე წარმოთქმული იყო „ძალის პოლიტიკის“ სულისკვეთებით, რომელიც, როგორც ცნობილია, დაგმეს ინგლისის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა.

ამასთან ერთად კონფერენციამ ცხადყო, რომ კონსერვატიული პარტიის რიგებში ძლიერდება შეშფოთება იმის გამო, რომ ინგლისის მმართველი წრეების ზოგიერთი მოქმედება, რომელიც ხელს არ უწყობს მშვიდობის განმტკიცებას, და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის შედეგები ამომრჩეველთა მასების სულ უფრო აშკარა უკმაყოფილებას იწვევს.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ლანდონში გაიმართა კონსერვატორთა დიდი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა პარტიის ლიდერმა პრემიერ-მინისტრმა ანტონი იდენმა.

ბირმელ ქალთა დელეგაცია საქართველოში

გუშინ, 15 ოქტომბერს, მოსკოვიდან თბილისს ჩამოფრინდა სსრ კავშირში საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით სტუმრად მყოფი ბირმელ ქალთა დელეგაცია ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატის დო სეინ პუს მეთაურობით.

დელეგაცია ხუთი დღის განმავლობაში გაეცნობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურას.

აეროდრომზე ბირმელ ქალთა დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ჯავახიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჭ. ლომთათიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი თ. მრევლიშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქუთათელაძე, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ქოჩორაძე და სხვები.

პიონერებმა სტუმრებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს. (საქდესი).

სპორტის ამბები

მეტად საჭირო ტურნირი ბილიარდში

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი ერევნის „სპარტაკის“ კართან.

ფოტო გ. გოგოხიასი.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. ეპიფანის (მოსკოვი) სასტვენის ხმამ ერევნის „სპარტაკისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდების მატჩის დაწყება გვამცნო. საფეხბურთო მოედანზე გაშლილი ბრძოლის პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ ორივე კოლექტივი ასპარეზობისათვის საგულდაგულოდ იყო მომზადებული.

ტემპი თანდათან მატულობს. მე-11 წუთზე თბილისელებმა მარცხენა ფრთიდან განახორციელეს მწყობრი იერიში, რომელიც დაგვირგვინდა მენაბდის დარტყმით და გოლით. 24-ე წუთზე მოწინააღმდეგემ ფაათანაბრა ანგარიში.

3 წუთიც არ იყო გასული, რომ მენაბდემ გაალიდა ანგარიში.

34-ე წუთზე თბილისელები დაჯარიმდნენ. ეს შესაძლებლობა სპარტაკელებმა ოსტატურად გამოიყენეს. ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 2:2. 36-ე წუთზე ნორაკიძემ კარგად მიაწოდა ბურთი დალაქიანს, რომელიც სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძლიერი კუთხური დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა ერევნელთა კარში.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 3:2.

მეორე ტაიმი არმიელ ფეხბურთელთათვის უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა. მათი თამაში მწყობრი, ორგანიზებული და შემტევი იყო. 19-20 წუთზე უხეშობისათვის მსაჯი ნიშნავს 11-მეტრიან საჯარიმოს. ურტყამს შუამარბიელი. ანგარიში გახდა 4:2. სპარტაკელებმა ორი მოთამაშე გამოიცვალეს, მათ შორის მეკარე, მაგრამ ამას თამაშში ვერ ატანა არ მოუხდენია, პირიქით, 25-ე წუთისათვის ანგარიში იყო 5:2. მენაბდის მიერ მიწოდებული ბურთი ფალანა მელაშვილმა.

თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს.

ამრიგად, ეს საინტერესო და პასუხსაგები მატჩი, რომელიც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 14 ოქტომბერს ჩატარდა, მოიგო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა ანგარიშით 6:3.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. **14 ოქტომბერი.** დღეს დედაქალაქის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ შედგა მამდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები.

ფეხბურთელთა ორივე კოლექტივისათვის ამ მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შეჯიბრების ფრედ დამთავრების შემთხვევაშიც კი სპარტაკელები თავიანთვის უზრუნველყოფდნენ პირველ ადგილსა და სსრ კავშირის 1956 წლის ჩემპიონის წოდებას. კიევის დინამოელებს კი მატჩის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში შეეძლოთ მეორე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა.

ასპარეზობა დამთავრდა დედაქალაქის „სპარტაკის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

ამრიგად, მოსკოვის „სპარტაკს“ ცდსა-სთან უკანასკნელი მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფილი აქვს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. დღეისათვის სპარტაკელებს 21 თამაშში, ბურთების საერთო შეფარდებით 65:28, შეგროვებული აქვთ 32 ქულა. კიევის „დინამო“ ამდენსავე თამაშში შეგროვებული 24 ქულით მეოთხე ადგილზეა. დინამოელები უკანასკნელ მატჩს გამართავენ ლენინგრადის „ზენიტთან“.

* * *

მოსკოვი. **14 ოქტომბერი.** დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ტორპედოსა“ და სტალინის „მახტორის“ გუნდებს შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გ. ნიკიტინის წარმატება

12 და 13 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის ზამთრის საცურავ აუზში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს მცურავთა შეხვედრები. შეჯიბრება მიმდინარეობდა XVI ოლიმპიური თამაშეს პროგრამით. ასპარეზობის პროგრამაში იყო შეჯიბრება ცურვაში სხვადასხვა მანძილზე და სხვადასხვა სტილით. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც ენერგიულად ემზადებიან ოლიმპიური ასპარეზობისათვის, წარმატებებს მიაღწიეს, დამყარებულია სსრ კავშირის ახალი რეკორდები.

მაღალი სპორტული შედეგით დაამთავრა გამოსვლა სსრ კავშირის ჩემპიონმა და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულმა თბილისელმა სპორტსმენმა ბორის ნიკიტინმა, რომელმაც 800 მეტრი ნებისმიერი სტილით გაცურა 9 წუთში, 49,5 წამში და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—გორდა (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი, **გრიბოედოვის სახელობის** — მარადიული სიყვარული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთი ღამის შეცდომები (7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (9 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ჭკუა და გამოცდილება (11 ს. და 2 ს.), **ფილარმონია** — გ. რომანოვის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **სპარტაკი, თბ